განკარგულება:**g-31. 31252373**
თარიღი:**25/08/2025**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №37

2025 წლის 25 აგვისტო

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა"-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, 115-ე მუხლის პირველი ნაწილის, 122-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ბ" ქვეპუნქტისა და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, საოფისე ფართის, დახურული საწვრთნელი დარბაზისა და სამუშაო ოთახების მოწყობის მიზნით, გადასცეს ა(ა)იპ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა"-ს (ს/კ 433650462) მისი არსებობის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ გვიმბალაურში მდებარე N 27.08.47.431 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული შენობა-ნაგებობაში არსებული შემდეგი ფართები: პირველ სართულზე ოთახი N 14 – 276,12 კვ.მ. მეორე სართულზე ოთახი N 6 – 10,13 კვ.მ. ოთახი N 8 – 8,34 კვ.მ. და ოთახი N 11 – 35.00 კვ.მ..

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N26 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის" მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი